მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

2015 წლის 16 მაისს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით ატარებს ყოველწლიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას.

კონფერენციის თემა : სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის განვითარება

მიზნობრივი ჯგუფი: კერძო და საჯარო სკოლების პედაგოგები და განათლების სფეროს სპეციალისტები.

კონფერენციის მიზანი:

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილ ცხრა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას შორის ერთ-ერთი სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციაა.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

- კონფერენციის მიზანია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლაში სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის განვითარების ხელშემწყობი აქტივობებისა და ღონისძიებების გაცნობა, გამოცდილების გაზიარება.

მოსალოდნელი შედეგი:

- მიღებული გამოცდილების საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის გასავითარებლად;
- თანამშრომლობითი გზით მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები შესაძლებლია იყოს:

- პროექტი/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- პედაგოგიური კვლევა
- სასკოლო ღონისძიებები;

კონფერენციის ეტაპები:

- საორგანიზაციო ჯგუფი მომხსენებლებს შეარჩევს შემოსული მოხსენებებისა და დანართების საფუძველზე.
- მომხსენებლებმა უნდა წარმოადგინონ პედაგოგის/პედაგოგთა ჯგუფის მიერ შერჩეული თემა და შესაბამისი მოხსენება, შევსებულ განაცხადდთან ერთად, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

saukune_21@yahoo.com;

სათაურში, თემის (subject) ველში მითითებული უნდა იყოს:

- სახელი, გვარი;
- მოხსენების სათააური.

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა: 25 აპრილი, 2015 წ.

კონფერენციის ორგანიზატორები და პარტნიორები:

- ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სკოლის ვებგვერდზე:
www.21saukune.ge

საკონტაქტო პირი: ქ-ნი მარინა გელაშვილი
ტელ: (+995 322) 230 90 65 (10:00-დან 16:00-მდე)